საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1628-02
02.07.2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 26 ივნისის N11274-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 1 ივლისის N7 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2024 წლის 8 ივლისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის სკოლაში მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე.

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საინფორმაციო ფორმა (შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი 3X4;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ერთი ნაშრომი, ან სამუშაოს აღწერა, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის შესაბამის გამოცდილებას;

ვ) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);

ზ) ცნობა სამუშაო ადგილიდან პროფესიული გამოცდილების შესახებ.

თ) პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა;

ი) CV ქართულ და ინგლისურ ენაზე.

კ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან / და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა საკონკურსო განაცხადის შეფასება მოხდება უფლებამოსილი ორგანოს აკადემიური საბჭოს ან აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილიების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას კანდიდატების პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები.

5. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 2024 წლის 9 აგვისტოდან 2024 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით.
6. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge.
7. კონკურსის შედეგი გამოცხადდება 2024 წლის 9 სექტემბერს, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.
8. გამარჯვებული კანდიდატი ვალდებული იქნება სასწავლო კვირაში დაიტვირთოს მინიმუმ 8 აკადემიური საათით და დაიცვას უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური პერსონალის აფილაციის წესი.
9.იმ კანდიდატთა საკონკურსო განაცხადები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ ამ ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ინახება საკონკურსო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.
10.ამ ბრძანების მე-9 პუნქტში მითითებულმა პირებმა, საკონკურსო განაცხადის დაბრუნების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართონ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.
11 სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსანტის მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტები "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის.
12. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია / დოკუმენტაცია;
13.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
14.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი